სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის

სკოლის მოსწავლეთა ტრანზიციის მექანიზმი

მუხლი 1. ზოგადი ინფორმაცია.

სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისი (შემდგომში „სკოლა“) დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გაადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. ამასთან, აღნიშული წესი შესაძლოა გამოყენებული იქნას იმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესის გასამარტივებლად, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას ართულებს საფეხურიდან საფეხურზე გადასვლას სირთულეები და სსსმ მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტირება.

ეს წესი შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოსწავლეს, ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი მიზეზებისგან დამოუკიდებლად, გააჩნია სასკოლო პროცესთან ადაპტაციის პრობლემები.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები.

აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და მათ მშობლებზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება.

ტრანზიცია - შეცვალა, მოძრაობა, გადასვლა ერთი პოზიციიდან , სუბიექტიდან, მოსაზრებიდან მეორეზე .ბავშვთა კოგნიტური თუ ფიზიკური განვითარება ცხოვრების ციკლის ცვლილებებს იწვევს და ერთი მდგომარეობიდან მეორეში

გ

ა

ადაპტაცია- მოსწავლის უნარი, შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას.

დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში;

ვ

ლ

ს

მუხლი 3 . მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტები

მოსწავლის სასკოლო პროცესში ადაპტაციისას გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი ფაქტორები:

ა)მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები, მისი ხასიათი;

ბ) უფროსი და-ძმის გამოცდილება, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გ)სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გამოცდილება, ასეთის არსებობის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, დადიოდა თუ არა მოსწავლე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში. თუ არ დადიოდა შეიძლება შედარებით გაუჭირდეს შეგუება. თუმცა უნდა აღინიშნოს ,რომ მოსწავლე ცნობისმოყვარეა და ბუნებრივად აინტერესებს სიახლის გაცნობა, მნიშვნელოვანია, როგორ მიაწოდებს მოსწავლეს ამ სიახლეს მშობელი და მასწავლებელი.

დ) თვითმომსახურების უნარ-ჩვევების განვითარება; ხშირად მასწავლებლისათვის სასწავლო პროცესის ხელისშემშლელ ფაქტორად იქცევა არა მხოლოდ ის, რომ მოსწავლეებს ასაკის შესაბამისად არ აქვთ განვითარებული ყურადღება,მეხსიერება,აზროვნება და სხვა ფსიქიკური პროცესებიუ,არამედ ისიც რომ მათ უმრავლესობას აე გააჩნია თვოითმომსახურების ჩვევები-არ შეუძლია დამოუკიდებლად სასწავლო ნივთების ამოლაგება,ჩალაგება,ტანსაცმლის ჩაცმა,კვება და ა.შ.

პირველკლასელი მოსწავლეების საკმაოდ დიდ ნაწილს ასევე უჭირს ინსტრუქციის შესაბამისად მოქმედება,რაც საგაკვეთილო პროცესის წარმატებით განხორციელების შემაფერხებელ მნიშვნელოვან ფაქტორად შეიძლება იქცეს.მაგალითად,მასწავლებლის მარტივი ინსტრუქცია:ამოიღეთ ჩანთიდან რვეული,წიგნი და ა.შ.მოსწავლემ შეიძლება ვერ შეასრულოს.

ე) სასწავლო დატვირთვის ინტენსივობა და თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამების სირთულე -ხშირია შემთხვევები ,როდესაც მოსწავლე ვერ ახერხებს

სასწავლო პროგრამის წარმატებით დაძლევას .განსაკუთრებით კი სწავლის საწყის ეტაპზე აღნიშნულმა არ უნდა დააზიანოს მოსწავლის თვით შეფასება და არ უნდა უბიძგოს მას ისეთი ქმედებებისკენ რომელიც ხელს შეუშლის მისი აკადემიური ჩვევების ჩამოყალიბებას;

ვ) იმ მოსწავლეებთან რომლებსაც გააჩნიათ კულტურული განსხვავებულობა, აუცილებელია მოსწავლემ მიმართოს განსაკუთრებულ ღონისძიებებს მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩასართავად ამ დროს, განსაკუთრებით დიდია კლასის დამრიგებლის როლი გააცნოს მოსწავლეებს კონკრეტული კულტურის ზოგადი მახასიათებლები მათთვის საინტერესო კუთხით, გამოხატოს პატივისცემა იმ კონკრეტული კულტურის მიმართ, დაამყაროს მარტივი კომუნიკაცია მოსწავლესთან და წაახალისოს სხვა თანაკლასელებიც, ჩართოს იგი საერთო აქტივობებში

ზ) სკოლაში მობილობის წესით ახალი მოსწავლის გადმოსვლისას, ასევე უმნიშვნელოვანესია კლასის დამრიგებლის როლი იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ვერ ახერხებს წარმატებით ადაპტაციას ,სწორედ კლასის დამრიგებელმა უნდა გამოიჩინოს ინიციატივა და წაახალისოს მოსწავლეები, დაამყარონ კომუნიკაცია კლასის ახალ წევრთან ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ჯგუფურ დავალებებს, თამაშებს და სხვა ისეთ აქტივობებს, სადაც წარმატების მისაღწევად აუცილებელია კოორდინირებული ქმედებები და ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაცია.

თ) საფეხურიდან საფეხურზე გადასვლისას ახალ კლასის დამრიგებელს აქვს კომუნიკაცია წინა კლასის დამრიგებელთან და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადაპტაციას.

ი) მშობლის ფაქტორი - მოსწავლის სკოლაში ადაპტაციისათვის უმნიშვნელოვანესია მშობლის ჩართულობა. უმეტესად, მოსწავლის დეზადაპტაციის ნიშნები სახლში უფრო შესამჩნევია ,ვიდრე სკოლაში. ამდენად მოსწავლის მშობელი მყისიერად უნდა

იქნას ინფორმირებული მოსწავლის ადაპტაციისა თუ დეზადაპტაციის ტემპების შესახებ, რათა დროულად იქნას დეზადაპტაციის ნიშნები გამოვლენილი
და მოსწავლეს გაეწიოს შესაბამისი დახმარება;
კ)ფსიქოლოგის როლი - იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეს გამოუვლინდება დეზადაპტაციის ნიშნები ,სასურველია მოსწავლის ფსიქოლოგთან გასაუბრება.
ლ) საორიენტაციო ვიზიტი - სასწავლო პროცესის დაწყებამდე ან პირველივე დღეს უნდა მოხდეს სასკოლო გარემოს დათვალიერება, გაცნობა, მოსწავლისთვის საჭირო საორგანიზაციო საკითხების მიწოდება.

მუხლი 4.პირველკლასელთა ადაპტაცია

ბავშვისთვის სკოლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება , მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე მოხდეს სხვადასხვა მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებით; მაგალითად , ეს შეიძლება იყოს წიგნების დათვალიერება და სასკოლო სიტუაციების აღწერა. თუ კი დედმამიშვილები დადიან სკოლაში მათი მაგალითების აღწერა.

ეფექტურია ბავშვთან ერთად ვიზიტის განხორციელება სკოლაში და გარემოს მონახულება ,კომუნიკაციის დამყარება დამრიგებელთან და სხვა მასწავლებლებთან. აღნიშნული ვიზიტი წინასწარ უნდა იყოს დაგეგმილი და სკოლა ბავშვს უნდა დახვდეს მომზადებული. სკოლაში ვიზიტის დროს საკლასო ოთახის ეზოს და სპორტდარბაზის მონახულებასთან ერთად ,ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ბავშვისთვის სკოლის სველი წერილების გაცნობა. ბავშვის უმრავლესობას სკოლაში მისვლამდე არ აქვთ სკოლის მსგავსი სველი წერტილების გამოყენების გამოცდილება და შესაბამისად სასწავლო პროცესში ექმნებათ სირთულეები.

მუხლი 5 . სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია.

სსსმ მოსწავლეთა წარმატებული ადაპტაციისთვის საჭიროა ინფორმაცია ბავშვის ფუნქციური, სოციალურ-ემოციური, წინა აკადემიური, უნარების შესახებ. ასევე, მნიშვნელოვანია ბავშვის ინტერესების, ქცევის თავისებურებების და პიროვნული მახასიათებლების ცოდნა. სკოლამ აღნიშნული ინფორმაცია უნდა მოიპოვოს ბავშვის ოჯახთან თანმიმდევრული კომუნიკაციით. ობიექტურ წყაროს წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა. სადაც დაწვრილებით არის აღწერილი ბავშვის საჭიროებები და მოცემულია სასწავლო პროცესისა და გარემოს მორგების რეკომენდაციები.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების რეგისტრაციის შემთხვევაში გარემოს ადაპტირებასთან დაკავშირებული საჭიროებები),რათა მომავალმა მოსწავლემ შეძლოს გარემოში თავისუფლად გადაადგილება.

რიგ შემთხვევაში , შეიძლება გამოიკვეთოს ინკლუზიური განათლების დამხმარე სპეციალისტების მობილიზების საჭიროებაც (სპეციალური მასწავლებელი, ბავშვის ინდივიდუალური ასისტენტი, ენისა და მეტყველების სპეციალისტის და სხვა.) აღნიშნულის საჭიროების შემთხვევაში, დროულად უნდა მოხდეს სათანადო სპეციალისტების შერჩევა.

მნიშვნელოვანია ,სკოლის მხრიდან მშობლებმა მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია, თუ რა დამხმარე სერვისებია სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მხარდასაჭერად. ასევე ,თუ რა კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები მუშაობენ სკოლაში, როგორ

წარიმართება სასწავლო პროცესი ,როგორ მოხდება ბავშვის აკადემიური შეფასება, როგორ ხდება სწავლება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით და სხვ

მუხლი 6. დაწყებითის საბაზო /საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ადაპტაცია.

საფეხურიდან საფეხურზე გადასვლა ერთ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილების ეტაპია, რომელსაც ხშირ შემთხვევაში თან ახლავს დამრიგებლის ცვლა, ახალი საგნებისა და მასწავლებლების გაცნობა, ახალი დღის რეჟიმი, დამატებითი პასუხისმგებლობები და სხვა.

დამრიგებლის როლი ამ პროცესში გადაწყვეტილია. პირველ რიგში იმიტომ, რომ მოსწავლეები ამ ასაკში განსაკუთრებით არიან მგრძნობიარე ყველაფერი იმის მიმართ, რაც მათ განსხვავებულს ხდის შესაბამისად, მნიშვნელოვანია რომ ტრანზიციის პროცესზე მუშაობა იყოს მოქნილი და მრავალფეროვანი: როგორც კლასთან ასევე მცირე საერთო ინტერესების მქონე ჯგუფთან ერთად ან/და ინდივიდუალურად.

ტრანზიციის პროცესის ეფექტიანად განხორციელებისათვის რეკომენდირებულია, რომ დამრიგებელმა სადამრიგებლო საათის დროს წარმოადგინოს დაწყებითი საბაზო მომავალი ცხოვრების დაგეგმვის პროცესის წამოწყებას, გააცნოს მოსწავლეებსა და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ტრანზიციის პროცესის აქტუალობა. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს შემდეგ მიმართულებებზე, რაც პირდაპირ კავშირშია ტრანზაციის პროცესთან: მოსწავლის პიროვნული და მორალური განვითარება; მეწარმეობის უნარების განვითარება; თვალსაწიერის გაფართოება.

წინამდებარე საფეხურზე სკოლაში მობილობის წესით ახალი მოსწავლის გადმოსვლისას ასევე უმნიშვნელოვანესია კლასის დამრიგებლის როლი . პირველ რიგში დამრიგებელმა თავად უნდა გაიცნოს ახალი მოსწავლე და კლასში მის წარდგენამდე მოსწავლეს შეუქმნას ახალ-ახალ მოსწავლეზე პოზიტიური დამოკიდებულება. იმ შემთხვევაში თუ მოსწავლე ვერ ახერხებს წამატებით ადაპტაციას, სწორედ კლასის დამრიგებელმა უნდა გამოიჩინოს ინიციატივა და წაახალისოს მოსწავლეები, დაამყარონ კომუნიკაცია კლასის ახალ წევრთან. ამ დროს

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ჯგფურ დავალებებს დასხვა ისეთ აქტივობებს, სადაც წარმატების მისაღწევად აუცილებელია კოორდინირებული ქმედებები და ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაცია ასევე დამრიგებელმა არაფორმალური განათლების შეთავაზების გზით (ექსკურსიები, გასვლითი ღონისძიებები და სხვა) ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებს შორის მეგობრული და კეთილგანწობილი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

მუხლი 7 . წინამდებარე დოკუმენტის გაცნობა.

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ტრანზიციის მექანიზმების გაცნობას დასაქმებული პირებისთვის.

სკოლა საჭიროების შემთხვევაში, ყველა დაინტერესებულ პირს განუმარტავს მოსწავლეთა ადაპტაციის პრინციპებს.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე დოკუმენტს ამტკიცებს სკოლის დირექტორი პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე;

დოკუმენტში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება საჭიროებისამებრ;